

საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

2018 წლის აგვისტოში საქართველოს „საგადასახადო კოდექსში“ მნიშვნელოვანი და საინტერესო ცვლილებები არ შესულა.

მნიშვნელოვანი სასამართლო პრაქტიკა

თბილისის საქალაქო სასამართლომ საინტერესო გადაწყვეტილება გამოიტანა პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით.

მოსარჩელეს წარმოადგენდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო („სააგენტო“), ხოლო მოპასუხეს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება („შპს“). დავა ეხებოდა ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის შპს-სთვის სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის მიწოდების შესახებ. სააგენტო მოპასუხეს ედავებოდა ხელშეკრულების მუხლის დარღვევას რომლისთვისაც გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო 500 ლარის ოდენობით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულების მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა ფიზიკური პირებისგან თანხმობის მიღების სავალდებულობას მათი პერსონალური

მონაცემების დამუშავებისთვის (იგივე მოთხოვნას შეიცავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 (ა) მუხლიც).

სასამართლომ დაადგინა, რომ შპს-ს მიერ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის წარდგენილი ინფორმაცია 17 პირის შესახებ, მათ შორის, 15 წერილობითი თანხმობა, ვერ ჩაითვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხმობად.

„პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მონაცემთა სუბიექტის თანხმობა არის მის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომლითაც შესაძლებელია ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება. იგივე კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა არის მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან სხვაგვარად აღნიშნა წერილობით ან მასთან გათანაბრებული ფორმით.

სუბიექტის მიერ მის შესახებ არსებული მონაცემების განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე გამოხატული თანხმობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი და ინფორმირებული, შესაბამისად გაცნობიერებული და ასევე,

ნათლად უნდა ადგენდეს მონაცემთა სუბიექტის ნებას. ინფორმირებული თანხმობა გულისხმობს, რომ მონაცემთა სუბიექტი თანხმობას გამოხატავს შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ: მისთვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს წინასწარ და სრულად, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიერ გამოხატული თანხმობა ვერ ჩაითვლება ნებაყოფლობით გამოხატულად და გაცნობიერებულად.

მოცემულ შემთხვევაში შპს-ს მიერ წარდგენილი 15 ფიზიკური პირის წერილობითი თანხმობების შემთხვევაში არ დასტურდება პერსონალური მონაცემების გამოთხოვამდე წინასწარ გაცხადებული ინფორმირებული და გაცნობიერებული თანხმობის არსებობა, ვინაიდან წარმოდგენილი წერილობითი თანხმობები არ არის დათარიღებული და შეუძლებელია დადგინდეს წინასწარ არის თუ არა მიღებული ფიზიკური პირებისგან ეს თანხმობები.

გარდა ამისა, წერილობითი თანხმობის ტექსტი არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული - ტექსტის შინაარსიდან ჩანს, რომ არ ხდება ფიზიკური პირისთვის სრული ინფორმაციის მიწოდება. „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ინფორმაციის მიღება გულისხმობს პირისათვის ყველა იმ ინფორმაციის მიწოდებას, რომლის გაცნობიერების საფუძველზეც პირს შეეძლება ნებაყოფლობით და ნათლად გამოხატოს თანხმობა. შესაბამისად, წერილობითი თანხმობის ტექსტის შინაარსიდან სრულყოფილად და აშკარად უნდა ჩანდეს რომელი მესამე პირისგან, რა მიზნით, რა სახისა

და რამდენჯერ ხდება პერსონალური მონაცემების გამოთხოვა, დამუშავება თუ გადამოწმება.

ხელშეკრულების მიხედვით, შპს უფრო ფართო უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი, პერსონალური მონაცემების გამოთხოვით, ვიდრე მხარეები გამოხატავდნენ თანხმობას გადამოწმებაზე.

გარდა ამისა, „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების პრინციპები. ამ მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებია, რომ მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის, დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება, სხვა თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით; მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი.

შპს-ს მიერ აღნიშნული პრინციპები უგულვებელყოფილია რამდენადაც ის იტოვებს განუსაზღვრელ უფლებამოსილებას პირის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით, ვინაიდან არ იკვეთება კონკრეტული მკაფიოდ განსაზღვრული მიზანი და, ასევე, მოცულობა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი მიზნის მისაღწევად.

შესაბამისად, სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა სარჩელში მოთხოვნილი ოდენობით.

წინამდებარე წერილი შეიცავს ინფორმაციას საგადასახადო და საკანონმდებლო, ასევე, სასამართლო პრაქტიკის სიახლეების შესახებ. ჩვენ გამოვიყენეთ ყველა ძალისხმევა, რათა მოგვეწოდებინა სრული და ზუსტი ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, **ბეიკერ ტილი ჯორჯია** არ იძლევა გარანტიას, რომ მოცემულ წერილში არ იქნება უზუსტობები. წინამდებარე მასალა არ არის გათვლილი და არ უნდა იქნას მიღებული როგორც სამართლებრივი ან საგადასახადო რჩევა. ნებისმიერი შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს პროფესიონალებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ბეიკერ ტილი ჯორჯია, 44, კოტე აფხაზის ქუჩა
(მეიდან პალასი) 0105, თბილისი.

(+ 995 32) 2438 999

office@bakertillygeorgia.ge

www.bakertillygeorgia.ge

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არის Baker Tilly International -ის დამოუკიდებელი წევრი. Baker Tilly International Limited-ი ინგლისური კომპანიაა. Baker Tilly International-ი არ უწევს პროფესიულ მომსახურებას კომპანიებს. ქსელის ყველა წევრი ფირმა არის დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული. შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არ არის Baker Tilly International -ის აგენტი და მას არ აქვს უფლებამოსილება დააკავშიროს რამე თავის ქმედებასთან Baker Tilly International-ი ან იმოქმედოს Baker Tilly International -ის სახელით. არც Baker Tilly International-ი, არც შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია და არც Baker Tilly International-ის ქსელის რომელიმე სხვა წევრი არის რამე სახით პასუხისმგებელი ერთმანეთის ქმედებებზე ან შეცდომებზე. Baker Tilly-ის სახელი და მასთან ასოცირებული ლოგო გამოიყენება Baker Tilly International Limited-ის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.